საქართ. მემარცხ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 600,000 „

№ 434 შაბათი, მარტის 31 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

პარტიული მუშაობისათვის.

ჩვენს პარტიას მეტად რთულ პირობებში მოუხდა პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა. შექმნილი მდგომარეობა ობიექტიურად ქმნიდა ისეთ საზოგადოებრივ ატმოსფერას, რომელიც აფერხებდა პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაჩაღებას.

რადიკალური ცვლილება ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ახალი პოლიტიკური მოვლენანი და პარტიათა ურთიერთობის შეცვლა დიდ დაბრკოლებებს ქმნიდა პარტიულ მუშაობის გაჩაღებისათვის.

მემარჯვენე პარტიების სისტემატიურმა აგიტაციამ ბოლშევიკების წინააღმდეგ შექმნა ერთგვარი ყალბი წარმოდგენა პოლიტიკურად მოუმწიფებელ მასაში და ახალი ხელისუფლებას აუცილებლად დასჭირდებოდა საკმაო დიდი შრომა ამ ყალბი ილუზიის გაქრობისათვის.

ჩვენ, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ვიზიარებდით რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციას და რომლებმაც დღიდან ამ წყობილების დამყარებისა ქართველ ხალხს მოუწოდებთ ამ წყობილების განმტკიცებისათვის, მრავალი მხრით აღგვიდგა მემარჯვენე პარტიათა მიმდევარი ხალხი.

მენშევიკების „დასავლეთის ორიენტაციამ“ საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღიდან ზოგიერთ ფენებში საზოგადოებისა ერთგვარი იმედი აღძრა და ლოდინის პოლიტიკას ჩაეყარა საფუძველი.

ვაშინგტონი, ჰაანა, გენუა, ჰააგა, ლონდონი, ლოზანა, აი ის ცენტრები საიდანაც მემარჯვენე პარტიები მოელოდენ მხსნელ ცისარტყელას.

ასეთ პირობებში მეტად ძნელი იყო პოლიტიკური მუშაობის წარმოება. სადაც პოლიტიკურ არგუმენტაციას უპირისპირებდა ავადმყოფი ფანტაზია „ლოდინისა“, სადაც პოლიტიკურ ბრძოლას წინ ხვდება მხოლოდ ინსინუაციები,—იქ მეტად ცუდი პირობები იქმნება მუშაობისა და ბრძოლისათვის.

დღეს ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღო. მენშევიკების დაშლა და მემარჯვენე ფედერალისტების მიერ მოტყუილებულთა ჩვენსკენ ლტოლვა, უკვე რეალი ფაქტია. ლოდინის პოლიტიკა სამუდამოდ დამარცხდა. ხალხი ერკვევა უფრო კარგად პოლიტიკურ მოვლენებში, მტკივნეულმა პერიოდმა ასე თუ ისე ისე განვლო. დღეს მხოლოდ ხალხთან მისვლა, მისი ამოძრავება, მასში პოლიტიკური მიზნების შეტანა გაცილებით ადვილია, ვიდრე აქამდე. ჩვენს ორგანიზაციებს პროვინციებში დიდი მუშაობა მართებს. ადგილობრივად საჭიროა ყოველგვარი სახით დაუმტკიცოთ ხალხს, რომ მისი ინტერესების ერთგული დამცველნი ვართ, რომ იგი ჩვენთან ბრძოლით იბრძოლებს მშრომელთა ინტერესებისა და ერთა თავისუფლებისათვის.

ცენტრის დახმარება, ცენტრიდან ამხანაგების ჩასვლა აუცილებელია პროვინციის ორგანიზაციების გაზრდისათვის, ამავე დროს მჭიდრო კავშირის დაჭერა ცენტრთან პროვინციელი ორგანიზაციებისაგან ორგანიულად შეკუმშავს და შეაკავშირებს პარტიას.

მუშაობა, მუშაობა და კვლავ მუშაობა, ძველი გზა მუშაობისა, რომელიც ახასიათებდა ჩვენს პარტიას ძველად, სავსებით უკუგდებულ უნდა იქნეს. კაბინეტის შრომა, ხალხში მოძრაობა, ცოცხალი და წერითი სიტყვა და პროპაგანდა ერთად უნდა შეკავშირდეს, ერთად უნდა ამოძრავდეს.

ქართველი მშრომელი ხალხის ჭირსა და ლხინს, მის ავსა და კარგს, მის ინტერესებს და იდუმალ გრძნობებს, ვერავინ გაიგებს, ისე, როგორც საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებული პარტია სოციალისტური და ეროვნული დროშით.

პარტია განიწმიდა ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის ელემენტებისაგან. ამიერიდან იგი ქართველი მშრომელის პარტიაა, ჩვენი დროშა მრავალრიცხოვანი მუშების ხელით უნდა იქნეს ტარებული. ამისათვის კი საჭიროა დიდი მუშაობა.

პრესა

მოსკოვის „პრავდაში“ (№ 63) ვინმე ი. ჟ. შემდეგსა სწერს ტრესტების შესახებ:

„არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი საქსოვი მრეწველობა შევიდა ნედლი მასალების მძიმე კრიზისის ზონაში. არ არის ბამბა, არ არის სუფთა მატყლი მათი შოვაა მეტად ძნელი და ძვირი არის, რადგან წინათ ჩვენი ქარხნები ინდოეთის ბამბით მუშაობდენ,—ამავე დროს კი ვხვდებით საკვირველად დაუდევარ მეურნეობას.

ავიღოთ მაგალითი. მოსკოვში არის კლინის ბამბეულობის ტრესტი—„მოსკლინა“. ტრესტშივე შედის გოლუტვინის მანუფაქტურაც: ეს ქარხანა, ერთად ერთია თავის მოწყობილობით არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთშიც. მას აქვს 425 მექანიკური დაზგა გერმანულ და ინგლისურ სისტემებისა. ეს დაზგები წარმოადგენენ უცხოეთის საქსოვი ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას (ისინი გამართული არიან ომის წინ). ომამდე ქარხანა ამზადებდა უცხოეთის საქონელს და კონკურენციას უწევდა უცხოეთის ფირმებს, ფაბრიკა ელექტროფიკაციით არის მოწყობილი, საუკეთესო ბინა აქვს, რომელსაც არავითარი შეკეთება არ სჭირია. ყველა განწყობილებანი,—სრულ წესრიგზეა. მანქანები დაზეთილია, მბრუნავ დაზგებზე მაგალითად, ჯერ კიდევ არაა მოხსნილი კოჭები ნაქსოვიდან. „ერთი ბრძანებაო,—ამბობენ მუშები,—და ფაბრიკა სავსებით ამუშავდებაო“. მოვიდა სამი კომისია ფაბრიკის გამოსაკვლევად. ყველანი აღნიშნავდენ, რომ ფაბრიკა ამუშავებული უნდა იქნას პირველ რიგში. და მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც შებოჭვილი პრომეთე, ის მაინც სდგას უკვე 4 წელიწადია, და მხოლოდ 127 მუშა ურახუნებს წარღვნის დროინდელ ხელის დაზგებზე.

ეს ერთი. ახლა მეორე. იმავე ტრესტს აქვს გოლუტვინის ფაბრიკის გარდა კიდევ 11 ისეთი ფაბრიკა, როგორიც კაშირისაა, რომელსაც 190 ხელის დაზგა აქვს, ვოლკოლამის, რომელსაც 100 დაზგა აქვს, პოზდნიაკოვის—50 მექანიკური დაზგით და სხვები, რომლებიც აერთიებენ სულ 1500 მუშას.

მხოლოდ გოლიუტვინის ფაბრიკას შეუძლია სრული დატვირთვის დროს მოითხოვს 1750 კაცი კიდევ მეტი: ტრესტს რატომღაც დასჭირდა შაპოვის ფაბრიკის აღდგენა, რემონტის გაკეთება, ხარჯის გაწევა, მუშების გოლიუტვინის ფაბრიკიდან მოხსნა და შაპოვინაზე გაგზავნა,—იმ დროს, როდესაც გოლუტვინის ფაბრიკა მთელი თავისი ტეხნიკური ძლიერებით, რომელსაც არავითარი შეკეთება არ სჭირია, გაყინული სდგას.

„გარდა ამისა, „მოსკლინოტრესტს“ აქვს 12 ფაბრიკა; ეს ნიშნავს—12 დირექტორს, მიუმატოთ 12 თანაშემწე, მიუმატოთ 12 ქარხნის მართველობა საშუალოდ 20 კაცი მოსამსახურე,—ეს შეადგენს 264 კაცს, მიუმატოთ 45 მართველობა თვით ტრესტისა—309 კაცი კონტორის მოსამსახურე 1500 მწარმოებელზე. საკვირველი ეკონომიაა! და მერე კიდევ რამდენი ზედმეტი ხარჯები უნდა მიუმატოთ ყოველივე ამას. აქედან დასკვნა, ნათელია, და ამაზე ლაპარაკი მეტია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ტრესტმა გადასწყვიტა ყველა თავისი ფაბრიკების გაერთიანება ერთ გოლუტვინშისაში. რას მივიღებთ ჩვენ ამით? აი რას: გოლუტვინის ფაბრიკას აქვს 9 ათასი ფ. ნედლი მასალა; ეს მართლა სრული დატვირთვის დროს 4—5 თვეს საკმაო, მას შეუძლია ყველა 12 ფაბრიკის მუშების მოთავსება, 1000 მუშისთვის ბინის მიცემა, რადგან 15 სახლი აქვს, შემცირდება ზედმეტი ხარჯებიც. და ბოლოს და ბოლოს რა უფრო იაფია: 12 ფაბრიკის შენახვა, თუ ერთის, რომელიც სავსებით მოწყობილა და შეუძლია ყველას შეცვლა? კარგმა მეურნემ შესაფერი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ასე სდგას საკითხი არა მარტო ამ ერთი ტრესტის მიმართ. ამ ფაქტს ვღებთ, როგორც მაგალითს, რათა ვაჩვენოთ, რომ თუ რამდენათ აუცილებელია საერთო ტრესტების გადასინჯვა; არის თუ არა ისეთნი, როგორიც კლინისაა, რომელნიც არა რაციონალურათ იყენებენ თავიანთ მატერიალურ საშუალებებს“.

ასეთი აღმოჩნდა გადაჭარბებული ცენტრალიზმის შედეგები ეკონომიკაშიაც. შეიგნებენ თუ არა ჩვენი ყველაფრის გამაერთიანებლები ამ გამოცდილების მნიშვნელობას?

რადიო დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაცია ხელსაყრელია ინგლისელ ვაჭრებისათვის.

პარიზი. მარტის 30 ს „დეილი მეილიმ“ გამოაქვეყნა სავაჭრო კომპანიის „პორროუ-სტრიტ“-ის კრების ანგარიში, რომელშიაც ნათქვამია რომ ინგლისი რურის ოკუპაციისაგან დიდ მოგებას იღებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინგლისი ოკუპაციის შემდეგ იღებს გაცილებით მეტს შეკვეთებს გაცილებით მეტ ფასებათ ვიდრე წინათ ანგარიშის დასასრულს ნათქვამია: „ეჭვს გარეშეა, რომ საფრანგეთის და ბელგიის მიერ მოწყობილი ოკუპაცია იყო, და უნდა ვიფიქროთ, იქნება მომავალშიაც დიდათ სასარგებლო ინგლისისა და ინგლისის მრეწველობისათვის მთლიანათ“.

ერრიოს შეკითხვა.

პარიზი 30 მარტი. დეპუტატთა პალატაში დეპუტატ ერრიომ შეკითხვით მიმართა პუანკარეს, ხელმძღვანელობს თუ არა მთავრობა რურის ოკუპაციაში მხოლოდ ეკონომიურ მიზნებით და დათანხმდება თუ არა ის გერმანიის წინადადების განხილვაზე. უკე თუ ეს წინადადება მიმართული იქნება უშუალოთ საფრანგეთისადმი, პუანკარემ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცა.

უმანდატოთაც მორიგდებიან.

პარიზი 30 მარტი. სტინნესის რომში ჩამოსვლის გარშემო გავრცელებულ ხმების გამო, სტეფანის სააგენტო აცხადებს, რომ იტალიელ მინისტრის ამხანაგს ფინცის არ ქონდა მანდატი მუსოლინისაგან სტინნესთან მოლაპარაკების საწარმოებლათ.

უარს აცხადებენ.

ბერლინი 30 მარტი. თემთა პალატაში დეპუტატ მაკ-ნეილის განცხადების გამო, რომ გერმანიის მთავრობა სტატს-სეკრეტარ იუზომ გეგმის შესრულებას საფრანგეთის მიერ რურის ოლქის სრულ ევაკუაციასთან აკავშირებს, ცნობილ იქნა გერმანიის მთავრობის შემდეგი ნახევრათ-ოფიციალური განმარტება: „იმ ცნობებში, რომლებიც მისცა გერმანიის მთავრობამ უცხოეთის სახელმწიფოებს და, აგრეთვე, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის ფონ-როზენბერგის განცხადებაში რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში, არავითარი პირობები არ იყო აღნიშნული სტატს-სეკრეტარ იუზის გეგმის ასრულებისათვის. იქ აღნიშნული იყო მხოლოთ საკონტრიბუციო პრობლემის სისუსტე და დაბნეულობა. დაყენებული იყო მხოლოთ ის საკითხი, თუ რა გზით არის შესაძლებელი გერმანიის ტერიტორიის განთავისუფლება, ვერსალის ხელშეკრულებაში ნაჩვენებ საზღვრების გარეშე და აგრეთვე საკითხი, თუ როგორ შეიძლება რეინლანდში შედარებით კეთილ პირობების აღდგენა“.

ძველ პოზიციაზე.

ბერლინი. 30 მარტი. გერმანიის სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა განუცხადა „დეილი ტელეგრაფის“ ბერლინელ კორესპონდენტს, რომ გერმანიის მთავრობა განაგრძობს მომავალში ეხლანდელ პოლიტიკას რურის საკითხში.

ოკუპანტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 30 მარტი. რეკლინ-გაუზენის რაიონში ფრანგების მიერ დაკავებულ მაღაროებში აჯანყებულია სამთამადნო მრეწველობის 15,000 მუშა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არ დაიწყებენ მუშაობას მანამ, სანამ უცხოეთის ჯარებს არ გაიყვანებენ ქარხნებიდან.

ოკუპაციის შედეგები.

ბერლინი. 30 მარტი. პარიზის ცნობების მიხედვით, ლოტარინგის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები იძულებული იყვნენ ჩააქრონ მაღანის ჩამომსხმელი ღუმელები და შეეჩერებიათ წარმოება კოქსის კრიზისის გამო, რომელიც გამოწვეულია რურის ოკუპაციით.

დაპატიმრებანი.

ბერლინი. 30 მარტი. იმ ბრძანების გამო, რომლითაც ყველა კომერსანტები ვალდებული იყვნენ მიეღოთ დაკეტილი სავაჭროები, ბოხუმში დააპატიმრეს სავაჭრო პალატის 3 წევრი. ბონში გამოურკვეველი მიზეზით დააპატიმრეს ობერ-ბურგომისტრი ფილკი.

გერმანიის პროტესტი.

ბერლინი. 30 გერმანიის მთავრობამ განაცხადა თავისი პროტესტი იმის გამო, რომ რეინლანდის მოკავშირეთა კომისიას განზრახული აქვს კიდევ გაადიდოს ნახშირის დაბეგვრა, რაც წარმოადგენს ვერსალის ხელშეკრულების და რეილანდის შეთანხმების დარღვევას.

საქებოა.

პარიზი. 30 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში რურის საკითხის გარშემო გამართულ კამათის შესახებ „ჟურნალ დე დება“ ამბობს, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი იქნებოდა საუკეთესო გარანტია მშვიდობიანობისა და ევროპის მომავალისათვის.

სტინესის წინადადება.

ბერლინი 30 მარტი. „კორიერ დელა სერა“-ს ცნობით, სტინესმა პოლიტიკურ და სამრეწველო მოღვაწეებს მისცა ზოგიერთი წინადადებანა ნედლი მასალის მოწოდების შესახებ, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

საკონტრიბუციო კომისიის ნოტა.

ბერლინი 30 მარტი. ბერლინში მიღებულია საკონტრიბუციო კომისიის ნოტა გერმანიის ოქროს სესხის შესახებ. კომისია მოაგონებს მთავრობას ვერსალის ხელშეკრულების მე-248 მუხლს და აცნობებს, რომ მოკავშირეები უტოვებენ უპირატესობას სესხის ხელმოწერათა წინაშე გერმანიის ყველა იმ რესურსების მიმართ, რომლებიდანაც გაღებულ უნდა იქნეს ხარჯები პროცენტების გადასახდელათ და ამ სესხის დასაფარავათ განსაკუთრებით იმ, შემთხვევაში თუ ეს რესურსები დიდი იქნება. გერმანიის მხრით ამ ნოტის შესახებ აღნიშნულია. „ვინაიდან ამ სესხის გასატარებლათ არ იქნება საჭირო რაიმე საგანგებო წყაროები, საკონტრიბუციო კომისიის შენიშვნას მოკავშირეთა უფლებების შესახებ მხოლოთ თეორიტული მნიშვნელობა აქვს“.

კამათი ინგლისის პალატაში რურის საკითხის გამო.

ბერლინი 30 მარტი. რურის საკითხის შესახებ თემთა პალატაში გამართულ კამათის დროს ლოიდ-ჯორჯის ყოფილმა პირად მდივანმა ედვარდ გრეგმა განაცხადა „პუანკარეს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ რურის ოლქის ოკუპაციამ არ გაამართლა ის ეკონომიური იმედები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ოკუპაციასთან, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთს რურთან აკავშირებს არა მარტო ეკონომიური ინტერესები. ვერსალის ხელშეკრულებაში ერთი სიტყვაც არ არის იმის შესახებ, რომ საფრანგეთს ოკუპაციის უფლება აქვს კონტრიბუციის საბოლოვო გარდახდამდე. სამაგიეროთ ვერსალის ხელშეკრულება შეიცავს რეინზე გემების მიმოსვლის თავისუფლების გარანტიას. რომელიც ეხლა ოკუპაციის გამო არ არსებობს“

უცხოეთი

პარტიის ც. კ. მოწოდება.

მოსკოვი, 30 მარტი. სტოკჰოლმში გამოქვეყნდა შვეციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება. მოწოდება აღნიშნავს მთლიანი ფრონტის შექმნის საჭიროებას სახელმწიფოში გაძლიერებულ რეაქციასთან საბრძოლათ, რომელიც ყველა ფრონტებზე აშკარა შეტევაზე გადავიდა.

კომუნისტების გასამართლება

მოსკოვი, 30 მარტი. ბუდაპეშტში იწყება 35 მუშის გასამართლება, რომელთაც ბრალათ ედება სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადება. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამია, რომ ბრალდებულებმა უნგრეთში მოაწყვეს არალეგალური კომუნისტური პარტია, მთელი რიგი უჯრედებისა დაწესებულებებში და პროფკავშირებში და სცემდენ არალეგალურ გაზეთ „კომუნას“.

მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გამარჯვება.

მოსკოვი, 30 მარტი. რეინისა და ვესტფალის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ესენში მოხსენებით გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხ. კლარა ცეტკინა, რომელიც დატუსაღებული იყო რურის ოლქში და ახლა გაანთავისუფლეს. მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია აღნიშნავს მთლიანი მუშათა ფრონტის გამარჯვებას რურის ოლქში.

„ჰუმანიტეს“ რედაქტორის და საფრანგეთის კომკავშირის წევრების დატუსაღება.

მოსკოვი, 30 მარტი. პარიზში დაატუსაღეს კომუნისტური გაზეთის „ჰუმანიტეს რედაქტორი ფენსი და უფროსი მდივანი. დაატუსაღეს აგრეთვე საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის მრავალი წევრი. ყველა დატუსაღებულებს ბრალს დებენ ჯარისკაცების ამბოხებისაკენ მოწოდებაში.

შვეციის კომუნისტების მოთხოვნა.

მოსკოვი, 30 მარტი. სტოკჰოლმში გამოშვებულ მოწოდებაში შვეციის კომუნისტური პარტიის ც. კ. ბრანტინგის მთავრობისაგან მოითხოვს ენერგიულ ზომებს: რიკსდაგის დათხოვას და უმუშევართა დამშევის პოლიტიკის შეწყვეტას. მოწოდება აღნიშნავს,

რომ კონსერვატორები ხელს უშლიან საბჭოთა რუსეთთან ოფიციალური ურთიერთობის აღდგენას.

საყოველთაო გაფიცვის წინ.

მოსკოვი, 30 მარტი. რკინის გზის კომპანიების განზრახვის გამო შრომის ხელფასის შემცირების შესახებ, ლონდონში გაიმართა რკინისგზელთა კონფერენცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ რკინისგზელთა კავშირის მდივანმა განაცხადა, რომ კონფერენციის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა, თუ რკინის გზის კომპანიები შეეცადენ შეამცირონ შრომის ხელფასი.

ჯოჯოხეთური ზომა.

მოსკოვი, 30 მარტი. ლონდონში, თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატებმა სასტიკათ გაილაშქრეს უმუშევართათვის და უდედმამო ბავშვებისათვის კოლონიებში თავშესაფარების მოწყობის შესახებ მთავრობის მიერ გამომუშავებულ პროექტის წინააღმდეგ. შოტლანდიის მუშათა პარტიის წევრმა განაცხადა, რომ მთავრობას უმუშევარ მუშების და ქუჩის ბავშვების კოლონიებში გადასახლების მაგიერ შეეძლო გამოეყენებია მილიონნახევარი დესეტინა მიწა შოტლანდიაში, რომლითაც ახლა სანადიროთ სარგებლობენ. ორატორი, ეყრდნობა რა შრომის მინისტრის საიდუმლო ბარათის შინაარს, რომელშიც ის მომხრეა ყოველთვიურად 500 ქუჩის ბავშვის ავსტრალიაში გადასახლებას, ამ ზომას ჯოჯოხეთურს უწოდებს.

შეკითხვა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ.

ლონდონი. 30 მარტი. თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე დამოუკიდებელ ლიბერალმა კენვორტიმ და პალატის წევრმა ტრინლეინმა შეიტანეს შეკითხვა ინგლისის მთავრობის მიერ საბჭონა მთავრობის ცნობის შესახებ.

იტალია-ავსტრიის შეთანხმება.

პარიზი, 30 მარტი. „ჟურნალ დ-იტალიი“ ცნობით იტალიასა და ავსტრიის შორის დადებულია შეთანხმება სამხრეთ ავსტრიის რკინის გზების საკითხთა მოწესრიგების შესახებ.

ინგლისის კაპიტალის მონაწილეობა.

პარიზი, 30 მარტი. ინგლისის ფინანსისტები მზათ არიან მონაწილეობა მიიღონ ავსტრიისათვის დასახმარებელ სესხში.

სკრჟინსკის მილანში ჩასვლის გამო

რომი, 30 მარტი. უკეთებს რა კომენტარიებს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის სკრჟინსკის მილანში ჩასვლის, „ჟურნალ დირომა“ აცხადებს, რომ მისი ჩამოსვლა გამოწვეულია, როგორც ელჩთა კონფერენციის დადგენილებათა რატიფიკაციისთვის მოლაპარაკების აუცილებლობით, ისე პურის ვაჭრობის და ნავთის ექსპორტის საკითხების მოგვარების სურვილით.

ინცინდენტი ინგლისის პალატაში

რომი, 30 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში ცეპლიაკოვზე განაჩენის გამოტანის შესახებ მაკნეილის განცხადების და ამის გამო კომუნისტ დეპუტატების გამოსვლის დროს მოხდა დიდი ინცინდენტი.

სამშილობის ნიადაგზე.

ბერლინი, 30 მარტი. პოლიციის ცნობის მიხედვით, ბერლინში მხოლოთ ერთობ უკანასკნელი დღის განმავლობაში აუტანელი გაჭირვების ნიადაგზე ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის 15 შემთხვევას.

მოსალოდნელი ლოკაუტი

ბერლინი, 30 მარტი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ 4 მაისისათვის განზრახულია საალმშენებლო წარმოების 5.000 მუშის დათხოვა.

რუსეთი.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

(ბიულეტენი № 13)

მოსკოვი 29 მარტი. ტემპერატურა—37,8 მაჯის ცემა—104. სუნთქვა—30. საერთო მდგომარეობა უცვლელია.

29 მარტი 1923 წ. დღის 2 საათი.

პროფესორები. მინკოვსკი, ფორსტერი, კრამერი, ბუმკე, პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

ახლო აღმოსავლეთი

ქემალ-ფაშა კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების წინააღმდეგ.

ანგორა. 28 მარტი. კონიაში ყოფნის დროს, ქემალ-ფაშას ბანკეტზე მისცეს შეკითხვა, რა ზომებს ღებულობს ის კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების წინააღმდეგ? ქემალ-ფაშამ უპასუხა: „ჩვენი ბრალია, რომ ჩვენში არის განსაკუთრებული კლასი, რომელიც მეთაურობს რელიგიას და ჩვენში არიან უმეცრები, რომელთაც სჯერათ სამღვდელოების. ამ მატყუარების და მოღალატეების—სასულიერო წოდების წყალობით რელიგია გახდა დესპოტიზმის პოლიტიკის იარაღად. მე მათი მტერი ვარ და მათ პირველივე ცდისას, რათა მახვილი ჩასცენ ხალხის გულს, ჩვენ მათ მოვსპობთ. ხალხი არავის ნებას არ მისცემს შებღალოს მისი უფლებები, რომელიც მოპოებულია სისხლით. პირადათ მე თუნდაც რომ განმარტოებული დავრჩე, ვებრძოლები და სიცოცხლეს მოუსპობ მათ.

სამოქალაქო ტყვეების დაბრუნება.

პარიზი. 30 მარტი. საბერძნეთიდან სტამბოლში დაბრუნდა ოსმალეთის 1,400 სამოქალაქო ტყვე.

ახალი ამბები.

— რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი ს. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა „**არითმეტიკა პატარებისათვის**“ გამოცემა „განათლების მუშაკთა სახლისა“.

— **დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნა.** დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის ამხ. ურუშაძის თანამდებობაზე სრ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომ. პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა ამხ. გახოკია, ხოლო ამხ. ურუშაძე იმავე რევტრიბუნალში ბრალმდებელის თანამდებობაზე.

— აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის პლენუმის დადგენილებით სესია ამხ. კაპარავას თავმჯდომარეობით და ამხ. ამხ. ბოლქვაძის და წივწივაძის მონაწილეობით გაემგზავრა ქ. ქ. ცხინვალში და გორისკენ.

— **საბინაო საკითხი.** საბინაო საკითხისა და სახლების მოვლა-პატრონობის წესის გამოსარკვევად და საბოლოოდ მოსაწესრიგებლათ არჩეულ იქნა ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით. საბინაო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მესხი, ვარძიელი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი და ტფილისის კომიტეტის თითო წარმომადგენელი. კომისიას დაევალა გაჩქარებით გამოიმუშაოს სათანადო პროექტი აღნიშნულ საკითხის გარშემო და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს.

— **აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის შემადგენლობის შევსება.** ამხ. გეგეჭკორისა და ელენტის მოსკოვიდან დაბრუნებამდე მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრება დაევალა პრეზიდიუმის წევრს ამხ. მინასიანს.

— **უსახელო ქუჩები და დაუნომრავი სახლები.** თანახმად სამმართველოს განყოფილების მოხსენებისა, ზოგიერთი უსახელო ქუჩებისთვის სახელების დარქმევისა და დაუნომრავი სახლების დანომრის შესახებ, აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დადგენილ იქნა დაინიშნოს კომისია სტატისტიკურ განყოფილების გამგის ამხ, ა. რუხაძის თავმჯდომარეობით. წევრები სამმართველოს და საადგილმამულო განყოფილების თითო წარმომადგენელი, რომელსაც დაევალება შეადგინოს სათანადო გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა აღნიშნულ საკითხის მოსაგვარებლათ.

— **ავტომობილებისა და მოტოციკლეტების დანომვრა.** დამტკიცდა პირველი კატეგორიის ავტომობილების და მოტოციკლეტებს მიეკრას თეთრი, ხოლო მეორე კატეგორიის წითელი ნომრები. წლიური გადასახადი ავტომობილების და მოტოციკლეტებისთვის დაწესდა ორი მანეთი (ოქროთი) სამხედრო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების სრულიად გათავისუფლდებიან გადასახადისაგან.

— **აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადება.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შინ. საქ. სახ. კომისარიატის წინაშე მცხეთაში მდებარე აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების შესახებ.

— **შრომის ბირჟის ბინის შეკეთება.** პრეზიდიუმის დადგენილებით დაევალა კომუნალურ განყოფილებას, სასწრაფოთ გამონახოს ახალი ბინა შრომის ბირჟისათვის. თუ ეს მოუხერხებელი გახდა მოხდეს შრომის ბირჟის არსებული შენობის კაპიტალური შეკეთება.

— **სამძიმრის დეპეშა ოვანეს თუმანიანის ოჯახს.** განათლების სახალხო კომისარიატმა ახლახან გარდაცვალებულ სომეხთა ცნობილ პოეტის ოვანეს თუმანიანის ოჯახობას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საქართ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი ღრმად დამწუხრებული თავისუფალ ერების და მშრომელი ხალხის მხცოვანი პოეტის ოვანეს თუმანიანის უდროოთ გარდაცვალების გამო—მოგიძღვნით თქვენ—ამ მწუხარე განცდის ჟამს—გულწრფელ თანაგრძნობას. დეე იყვეს თქვენი მწუხარების შემამსუბუქებელი ის რწმენა, რომ დიდი პოეტის საერთაშორისო ჰანგები და შეუდარებელი წინასწარმეტყველება კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობისა და სოლიდარობისა კიდევ დიდხანს აანთებს მშრომელი ხალხის გულს თავისუფლებისა და ძმობა-ერთობის სიყვარულით“.

— **განათლების კომისარიატის ბინის საკითხი.** თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, განათლების კომისარიატმა შეადგინა ამხ. ევ. მამულაიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სასწავლებლებში კერძო პირების ოჯახების განტვირთვა. ამ მიზნით კომისამ გაანთავისუფლა იმ პირებიდან, რომლებსაც საერთო არაფერი ქონდა სასწავლებლებთან 1-ლი, მე-3, მე-8 ტეხნიკუმების და მე-3 პროფ. სკოლის ბინები.

— **დადგენილებები.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა ახლო მომავალში გახსნას სახლი „კომუნა“, სადაც იქნებიან მოთავსებულნი სასკოლო ასაკს გადასულნი ბავშვებს საბავშო სახლებიდან. აღნიშნულ სახლის გასახსნელად მიღებულია ზომები სათანადო ბინების საშოვნელად.

— **შაქარი რუსეთიდან.** ა.—კ საგარეო ვაჭრობის ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების ძალით უკვე მიიღო ბაქოში 16 ვაგონი რაფინადის შაქარი, აღნიშნულ შაქარს ამ დღეებში მოელიან ტფილისში.

— **ბრძოლა არაყის მალულად გამოხდის შესახებ.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა ყველა საქალაქო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს დაუგზავნა ცირკულიარი, რათა ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება მიაქციოს ხილის და ჰაჭისაგან არაყის და სპირტის ფარულად გამოხდას და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ არა პირდაპირ გადასახადთა სამართველოს თანამშრომლებს, ასეთ მოვლენასთან ბრძოლაში.

— **გადასახადების აკრეფისათვის.** იმავე კომისარიატმა განკარგულება დაუგზავნა ყველა მაზრების და ქალაქების აღმასკომებს, რათა უკანასკნელებმა რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეებთან ერთად ყოველგვარი ზომები მიიღოს სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების მარტის დამლევამდე ასაკრეფად.

ბანდიტიზმი. იმავე კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით გორის მაზრაში ტყვიავის გზატკეცილზედ ბანდიტებმა გაძარცვეს მგზავრები, მიღებულ ენერგიულ ზომებით სამი ყაჩაღი შეპყრობილია. სენაკის მაზრაში მოკლულია 27 მარტს ცნობილი ყაჩაღი მიხა გუგუნავა.

— **სანაგვე ხიდი.** მიუხედავად ქალიქს აღმასკომის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებისა, შესახებ სანაგვე ადგილებზე განსაკუთრებულ სანიტარული ყურადღების მიქცევისა და საზოგადოთ ქუჩებზე სისუფთავის დაჭერისა, ზოგიერთ ადგილებზე და განსაკუთრებით ჩვენი ქალაქის ზოგიერ კუთხეებში ეს სრულიად უყურადღებოთ რჩება. მაგალითად სასტიკათ აკრძალულია ხიდეებიდან მტკვარში ნაგვის გადაყრა (იმიტომ რომ, ბევრ ადგილას მტკვრის წყალი მცხოვრებთ მიერ სასმელათ იხმარება) მუხრანის ხიდეზე, გულ-შემზარავი ამბავი ტრიალებს. რომელ კუთხიდან არა გსურთ, მოაქვთ ტომრებით, კალათებით „დროგებით“ და სხვა ყოველგვარი ნაგავი და ყრიან მტკვარში, აბინძურიანებენ რა ხიდეზე გასვლას ისე ელექტრონის მავთულების ხლართებს, რომელზედაც მუდამ ჩამოკიდებულია, აშმორებული ნაგვიანი ნაჭრები და სხვა. საჭიროა ყურადღება არა მარტო ცენტრში არამედ ასეთ მჭიდრო მცხოვრებიან ადგილებზე, როგორიც არის ავლაბარი.

სოციალისტური პარტიები და ნაციონალიზმი

I.

სოციალისტური მიმართულებანი თავის წარმოშობასა და განვითარების პირველსავე საფეხურზე კოსმოპოლიტურ ტენდენციებს ატარებდენ. როგორც უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები, ისე ეგრ. წოდ. მეცნიერული სოციალიზმის მამათმთავარნი ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ნაციონალურ კითხვას.

თუ ოუენი და ფურიე თავის ორგანიზაციების წყობას ნაციონალურ ზღუდით არ ბორკავდენ და მსოფლიო მასშტაბით ცდილობდენ მათ მიერ იდეალად დასახული საზოგადოებრივი წყობილების რეალიზაციას, ისე მარქსი და ენგელსიც მხედველობის გარეშე სტოვებდენ ნაციონალურ ფაქტორს საერთოდ და ნაციონალურ კითხვას კერძოდ.

მართლაც და სოციალიზმის ისტორია ნაციონალურ კითხვას, ნაციონალიზმს და მის გარშემო პოლიტიკური აზროვნების გაჩაღებას ნაკლებად იცნობს. მხოლოდ გერმანეთის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელმა, დიდმა ორატორმა და ტრიბუნმა სოციალიზმისა, ფერდინანდ ლასალმა, შესძლო თავის სოციალისტურ პროპაგანდაზედ დაემყნა ნაციონალური იდეა, მაგრამ ასეთმა შეკავშირებამ სოციალისტურ და ნაციონალურ დოქტრინისა ვერ გასტანა დიდხანს და უკანასკნელ ნაწერებში ფ. ლასალი დაშორდა მას.

ჯერ კიდევ ჩვენს მეხსიერებაში არ გამქრალა სოციალისტების მიერ სოციალიზმისა და ნაციონალიზმის ცნებათა დაპირისპირება. ჩვენში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა 26 მაისის აქტამდე და მისი ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ ამ ორი ცნების დაპირისპირებით ამოიწურება.

როგორც საერთოდ კოსმოპოლიტიური მიმართულების და ყალბ ინტერნაციონალისტური აპოლოგიის დებულება მეტად მარტივია, ისე მარტივი იყო სოციალ-დემოკრატიის დებულება ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ის ვინც იცავს ერს, არ შეიძლება იცავდეს კლასს, როგორც მის ერთ ნაწილს. ის ვინც იცავს კლასს, იგი უნდა ებრძოდეს ერის სხვა ნაწილებს, როგორც კლასობრივად ანტაგონისტურ ელემენტებს. ამ რიგად მიუღებელია ყოველი ფორმა ნაციონალიზმის. საქართველოს ავტონომია, როგორც ამბობდა ხოლმე ნ. ჟორდანია—როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს იგი, არის რეაქციონური საქმე, ნაციონალიზმის გამარჯვება, კაციჭამიობა და ღალატი მშრომელია ხალხისაო.

ყველას ერთად და ყველას ცალკე ავიწყდებოდა, რომ კლასთა ბრძოლა ერის შინაგანი ძალების ბრძოლაა რომ, ერის მთლიანობას იგი არ არღვევს, რომ ეროვნული თავისუფლება, ეროვნული უფლებათა უზრუნველყოფა, საუკეთესო პირობებს ქმნის კლასთა ბრძოლისათვის, რომელიც გზაა სოციალიზმისაკენ, ხოლო სოციალიზმი რაციონალურად გადაჰრის ეროვნულ საკითხს და განმტკიცებს ეროვნული ენერგეტიკის გაშლისა და განვითარების პირობებს.

რუსეთის რევოლიუციის პროცესში ეროვნულ საკითხს დიდი როლის შესრულება ხვდა წილად. მენშევიზმის ტრაგედია მარტო კლასობრივი მომენტის ვერ გაგების შედეგი კი არ არის, არამედ იგი, ეროვნული მომენტის ვერ გაგების რეზულტატიც არის. ბოლშევიზმის გამარჯვების ფაქტორებიც მარტო კლასობრივი ბრძოლის წამოყენება კი არ არის, არამედ ერთა თავისუფლების ლოზუნგის აღმართვაშიაც იმარხება.

ბოლშევიკები ფედერალისტური დროშით გამოვიდნენ და დამონებულ ერების ნაციონალიზმი მათ უფრო კარგად გაიგეს, ვიდრე ეს ესმოდა მათ წინაპრებს, ესდეკებს და ესერებს. ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ერთა თანასწორ უფლებიანობისათვის. ეროვნულ საკითხს, სოციალისტურ ნაციონალიზმს კიდევ არ მიენიჭა თვითღირებულება სოციალ-პოლიტიკურ შემოქმედებაში და იგი ტაქტიკის საკითხად იქმნა მოხმარებული.

ბოლშევიზმის იდეოლოგია ნაციონალურ საკითხში კიდევ ვერ მიწვდა სათანადო სიმაღლეს იმ სოციოლოგიური კონცეპციის გამო, რომელიც მარქსისტულმა აზროვნებამ წარმოშვა.

ამხ. ვ. ლენინი მტკიცედ იცავს ერთა თავისუფლებას, იკი აუცილებელ მოვალეობად სთვლის ყოველი რევოლიუციონერისათვის ეროვნული თავისუფლების შეუზღუდველობას. რადგან ყოველივე ეს არის **პირობა, გზა** ერთა გაერთიანების, შეერთების, რაც შეადგენს „სოციალიზმის მიზანს“.

თავისუფლება სიკვდილისათვის—აი დევიზი, რომელიც შეიძლება წამოაყენოს ყოველმა მარქსისტმა ნაციონალური საკითხის სფეროში. ამხ. ლენინიც ამ თვალსაზრის იზიარებს, რადგან შევიწროება ეროვნული ერთეულის ქმნის რეაქციას ნაციონალისტური სულისკვეთებით, ანვითარებს შოვინიზმს და ამდენათ იგი ეწინააღმდეგება „სოციალიზმის მიზანს“.

ჩვენ ამ ჟამად არ გვაინტერესებს თეორეტიული ექსკურსიები ნაციონალური საკითხის ირგვლივ. არ შევეხები არც მარქსისტული სოციოლოგიის უსწორობას და აუცილებლობისა და მიზნის დაპირისპირებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს საკმაო კომპრომისია დაშვებული ბოლშევიკების მიერ ნაციონალურ პოლიტიკის სფეროში.

საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების დროს ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის სერიოზული ხასიათის პოლემიკა იყო გამართული. ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება, ეგალიტარიზმის პრინციპის მიღება საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების დროს და თანასწორი წარმომადგენლობა წინააღმდეგობას ხვდებოდა.

ჩვენ გვიპასუხებდენ, რომ რუსეთის მუშებსა და გლეხებს არ სურს საქართველოს ეროვნული უფლებების შელახვა. მაშ რათ გინდათ, რომ თანასწორობის პრინციპს აყენებთ: განა 100 მილიონიან ერსა და 2 მილიონიან ერს წარმომადგენლების ერთი და იგივე რაოდენობა უნდა ჰყავდესო?

მაგრამ, თუ რუსეთის მუშები და გლეხები არ ისურვებენ საქართველოს ეროვნულ შევიწროებას, თავისი მხრივ არც საქართველოს მუშებსა და გლეხებს სურთ რუსეთის ნაციონალურ ინტერესთა შელახვა და ასეთი სურვილიც რომ იყოს, მას **არც შეუძლია** მისი სისრულეში მოყვანა. პრინციპი ეგალიტარიზმის, თანასწორობის უაღრესად სოციალისტური პრინციპია და ამდენათვე სავალდებულო ყოველი ჭეშმარიტი სოციალისტისათვის.

ამას გარდა, სრულიად ბუნებრივად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ჩვენ პატარა ერის შვილებს, რომლებმაც გადვიტანეთ მთელი საუკუნის გასწვრივ ეროვნული მონობა თვითმპყრობელი რუსეთის ქვეშ, გვაქვს მეტი შიში, რომ ძველი წყობილების ან ძველი ფსიქოლოგიის ნაშთებმა არ წამოყოს თავი და „რუსოტიანულ“ პოლიტიკის წინაშე არ დავდგეთ.

დღეს ბოლშევიკებმა დაინახეს ნაციონალიზმის მეტი მნიშვნელობა. საქ. კომპარტიის უკანასკნელმა ყრილობამ სურვილი გამოსთქვა ორი პალატის შექმნისა, რომელთა შორის ერთი იქნებოდა წარმომადგენლობა თანასწორი კავშირში შემსვლელ სახელმწიფოთა მიერ.

აგრეთვე ყურადღების ღირსია ამხ. კამენევის სიტყვა წარმოთქმული საქ. კომპარტიის ყრილობაზე და ამხ. ლ. ტროცკის წერილი „ფიქრები პარტიის შესახებ“, სადაც ხსენებული ავტორნი თავის აზრს გამოსთქვამენ ნაციონალური საკითხის შესახებ.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სოციალისტურ პარტიებში ნაციონალიზმი შედის უფრო პრაქტიკის ნიადაგიდან, ვიდრე თეორიის მწვერვალიდან. ერთა ანტაგონიზმი, იმპერიალისტური პოლიტიკა, საახალშენო მისწრაფებანი და სხვა, ჰქმნის აუცილებლობას, რომ ნაციონალიზმის ორი ფორმა იქნეს განჯგუფებული. პირველია ნაციონალიზმი დამპყრობელი, ნაციონალიზმი მეტროპოლიის, რომელიც ამავე დროს ბურჟუაზიის „ნაციონალიზმია“, აღმოცენებული ჩამორჩენილ ერთა ექსპლოატაციის მიზნით. ნაციონალიზმის მეორე ფორმას წარმოადგენს ჩაგრულ ერთა ნაციონალიზმი, რომელიც უპირისპირდება იმპერიალისტურ ნაციონალიზმს, მიზნად ისახავს ერის უფლებათა დაცვას, ებრძვის იმპერიალისტურ ტენდენციებს და ამდენათვე ერთ-ერთი ფაქტორია კაპიტალიზმის დეგრადაციის.

კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპში ეს ორი ფორმა ნაციონალიზმისა მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული. ამდენავე სოციალისტური პარტიები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ჩაგრულ ერთა ნაციონალიზმს.

დღეს მსოფლიო დაყოფილია არა მარტო მშრომელთა და უშრომელთა შორის, არა ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის რიგებათ, არამედ დამონებულ და დამმონებელ ერთა შორისაც, მეტროპოლიებად და კოლონიებად, რომელთა ბრძოლები ავსებენ პოლიტიკურ ბრძოლის კონცერტს მსოფლიო მაშტაბით. ამ გარემოებას ანგარიშს უწევს კომუნისტური ინტერნაციონალი. ანატოლიის ეროვნულ მოძრაობასა და რუსეთის რევოლიუციას შორის კავშირი ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული.

დარწმუნებული ვართ, სინამდვილე ბოლშევიკებს კიდევ უფრო გამოასწორებინებს ნაციონალურ პოლიტიკას. ცხოვრების რეალი ფაქტები და სოციალური ვითარება გაცილებით დიდი თეორიაა, ვიდრე რომელიმე თეორია. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელნი ლაპარაკობენ რევიზიის შესახებ ნაციონალური საკითხის ირგვლივ.

როგორია მათი უმთავრესი დებულებანი?

ხერ. ამაღლობელი

კვირას, აპრილის 1-ს დილის 11 საათზე, პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვი

ამხ. **სერ. ამაღლობელი** წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თე

„ჩვენი პოლიტიკა სოციალ.-ფედერალიზმის სამსჯავროს წინა

(მოხსენება მარტის 25-ს არ შესდგა მომხსენებლის ტფილისიდან გამგზავრების გამო.)

შესვლა შეუძლია პარტიის წევრებს.
ტფ-4 რაიონ. კომიტეტი.

პროვინციის ცხოვრება

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ მკაცრად, თუ როგორ მედგრად უნდა იცავდეს ყოველი დაწესებულება, ყოველი ორგანო საბჭოთა ხელისუფლებას, მუშების და გლეხების ბატონობას. ყოველი პიროვნება, რომელიც კი მოყვარეა საბჭოთა ხელისუფლების, რომელსაც სურს შრომის სუფევის დამყარება და აღკვეთა უთანასწორობის,—უნდა ჰქონდეს დევიზად დასახული სასტიკი ბრძოლა და შეუბრალებელი დევნა იმ ელემენტების, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან ჩვენში და სურთ მახვილი ჩასცენ მუშათა და გლეხთა მთავრობას. უნდა აღიგაოს დედა-მიწის პირისაგან იმისთანა ელემენტები, რომელთაც არსებული და გინდ სანატრელი ხელისუფლება სურს თავის ქეთილდღეობისათვის, თვის ჯიბის გასასქელებლად, თვის პირად ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ბრძოლა მედგარი, ბრძოლა დაუნდობელი. აი, ამის საშუალებით შეიძლება აღკვეთა ქვენა ინტერესებით დაავადებულ პირების, გინდ კლასის. მაგრამ ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბრძოლის დროს, ამ დევნის დროს უნდა იქნეს ყოველთვის მიზანშეწონილი და მოფიქრებული ნაბიჯი გადადგმული არ უნდა ჰქონდეს ადგილი შეცდომას და უდანაშაულო პირის დევნა-შეურაცყოფას.

საჭირო არის შემჩნეულ ბოროტების შესწავლა, დაკვირვება (თუ კი არის) და მიზანშეწონილი მსჯავრის დადება.

მე მინდა მიუთითო ამგვარ შემცდარ ნაბიჯს და ავალაპარაკებ ფაქტებს, რათა ნათელი იქნეს მიზან-შეწონილი ნაბიჯის გადადგმა, იმ დროს, როდესაც იმგვარ მოვლენას ვდევნით. ტობანიერის (ქუთ. მაზრა) მთლიან შრომის შკოლაში არსებობს ლიტერატურული წრე, სადაც უფროსი განყოფილებები მე-7 და მე-8 მეცადინეობენ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, რასაც მოწაფეები სკოლაში გავლას ვერ ასწრებენ, იმას გადიან ლიტერატურული წრის შემწეობით, რაც რასაკვირველია, დიდ სარგებლობას აძლევს მოსწავლეებს და ანვითარებს ახალგაზრდების ინტელექტს. მის საშუალებით უფართოვდებათ გონების ასპარეზი და ტეხნიკუმისათვის უფრო მომზადებული გამოდიან. მასწავლებლები არ ზოგავენ ზედმეტ შრომას და აწვდიან მოწაფეებს საჭირო ცოდნას და აწვდიან მოწაფეებს საჭირო ცოდნას ლიტერატურიდან და სხვა ხელოვნების დარგიდან. ამ წმინდა ვალს ყოველი ბეჯითი მასწავლებელი ღებულობს თავის თავზე.

ამგვარი მეცადინეობა ჰგონებია ადგილობრივ მთავრობას ანტიბოლშევიკური (ვფიქრობთ გაუგებრობით) და შაბათს, 2 მარტს მეცადინეობის დროს თავს დაესხენ რევოლვერებით მოწაფეებს და მასწავლებლებს. გაშეშებული მოწაფეები, რომელნიც უფრო პატარები იყვნენ დაიმალენ პარტების და დაფის გვერდით და მასწავლებელი კი განცვიფრდა. შემდეგ დაიჭირეს ყველა ესენი და შეუფერებელ ადგილს მოათავსეს. საღამოს გამოარკვიეს საქმე.

როდესაც მოახსენეს ადგილობრივ კომპარტიის თავმჯდომარეს, რომ ლიტერატურული წრეები განათლების განყოფილებისაგან ნებადართულიაო, მან შეუფერებელი სიტყვა წარმოსთქვა,—„განათლების განყოფილებაში რამდენი ხალხი ზის, ჩვენ მისი ყურება არ გვარგიაო“. მერმეთ, როგორც იყო გაანთავისუფლეს დატუსაღებულნი, რადგანაც მათ არაფერი დანაშაული არ მიუძღოდათ. დარჩა შეურაცყოფილი მასწავლებლები და მოსწავლეები. აი როგორ საჭიროა მოფიქრებული ნაბიჯის გადადგმა ამისთანა საქმის დროს. ის კი მიმაჩნია შეუფერებელ დანაშაულობად, რომ ზოგაერთ ვაჟბატონებმა, გინდ კომუნისტურ იდეიის მატარებელმა აბუჩად აიღოს უმაღლესი მთავრობის დადგენილება. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამგვარი მოქმედება არ ცოდნაზე არის დამყარებული და ყველა ჩვენგანის, ვალია, ვიცოდეთ თუ რა არის თეთრი და რა არის შავი, —რა არის სასარგებლო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, და რა არის მავნებელი.

Ghahlico.

—

ბაკურიანი. ყველა სახლები, რომელიც იმყოფებოდა საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში, გადაკეთებული იქნება დასასვენებელ სახლებად.

წაღვერი. რამოდენიმე სასლი დაეთმობა ს. პ. კ. ს. დასასვენებელ ბინებზე გადასაკეთებლად.

აბასთუმანი. მთავარ საკურორტო სამმართველოს გადაეცა 200 მილიონი მან. აბასთუმანში სანიტარული ტვირთსაზიდის ორგანიზაციის მოსაწყობად.

ბორჯომი. ს. პ. კ. ს. გადაეცა ორი სახლი,—ერთი დიდი, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა კუნდუროვს, რომელიც გადააკეთდება დასასვენებელ სახლად, პროფკავშირების წევრებისათვის, ხოლო მეორე, ქოიავასი,—დასასვენებელ სახლის მოსამსახურეების საცხოვრებლად.

ბორჯომი. ყოფილ სასტუმრო „ბორჯომი“-ს შენობაში, მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ, გაიხსნება გამმანაწილებელი პუნქტი 50 კურსელისთვის საიდანაც უკანასკნელნი გაგზავნილნი იქნებიან სხვა და სხვა კურორტებში.

აბასთუმანი. მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი აბასთუმანში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაშენებლად.

კანონი და „დიდი კაცები“

კარგი რომ გჭირდეს გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

შოთა.

არის ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც არ ითვლება საერთაშორისო საკითხათ, არ დაისმება არც ერთ კონფერენციაზე, არ არის მასზედ დამოკიდებული რევოლიუციის ბედ-იღბალი, მაგრამ ზოგიერთები მაინც დაინტერესებულნი არიან ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხით.

დღეს რომ ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობაზე ლაპარაკი ჩამოაგდო, ბევრი „მეშჩანობაში“ ჩამოგართმევს, ბევრი „კუჭისტობას“ უწოდებს ასეთ გამოსვლას და არც არის საკვირველი, რადგანაც მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია. ერთის მხრით და მეორე მხრით ყოველივეს ობიექტიური პირობებით ამართლებს და ფრაზეოლოგიაში იფლობა ზოგიერთი განდიდებული პიროვნება.

ამ წერილს ვსწერ 1923 წლის მარტის 28 რიცხვს და იმ დაწესებულების მოსამსახურეებს, რომელთაც ეხება წერილი დღესაც აქვთ მიუღებელი 1922 წლის დეკემბრის ჯამაგირი.

ისტორია მეორდება—ჯამაგირის მიუღებლობა არ ახალია ძველია, მაგრამ ამ საკითხზე ხმის ამოღება ღირს იმდენათ, რამდენათაც მოსამსახურეთა ტყავის გაძრობასთან—ისტორიაში არ გაგონილ ექსპლოატაციასთან პარალელურათ ხდება კანონების აბუჩათ აგდება, მათი ფეხქვეშ გათელვა.

კანონს მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ეს კანონი ვრცელდება ყველაზედ თანაბრათ—კანონს მაშინ სცემს ხალხი პატივს, თუ ის ყველასათვის სავალდებულოა.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს (В. С. Н. Х.) თებერვლამდე ემორჩილებოდა წყალშენი.

წყალშენის მიერ წარმოებულ მუშაობათა შესახებ დღეს ლაპარაკს არ ჩამოვაგდებ. რადგანაც უარყოფითსა და დადებით მხარეებზე ლაპარაკი, ჩემს მიზანს არ შეადგენს.

ვიტყვი გაკვრით, რომ ეს ის წყალშენია, რომლის მიერ დაწყებულ მუშაობათა შესახებ ყველა გზა-ჯვარედინზე მოჰკრავთ ყურს. კარგა ხანს ამშვენებდა სასახლის ქუჩას წყალშენის მიერ წარმოებულ მუშაობათა ფოტოგრაფიული სურათები („В. С. Н. Х.“-ას „იარლიკით“. ამაზედ სწერდა ამხ. ფილიპე მახარაძე გაზეთ „კომუნისტში“, ამ მუშაობის სიდიადე მოიხსენია ამხ. თედო ღლონტმა იმ წიგნაკში, სადაც მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სტატისტიკით ალაპარაკდა.

მართლაც დიდი საქმეა დაწყებული, მაგრამ რამდენათაც დიდია მორწყვის საქმე საქართველოში, იმდენათ ცუდია პირობები მოსამსახურის. მიუღებული აქვთ მათ დეკემბრის, იანვრის ზოგიერთებს თებერვლის და მარტის ჯამაგირებიც და საკომპენსაციო 1922 წლის. ვინც არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება, უმთავრეს დამნაშავეთ ხელისუფლებას გამოიყვანს.

ხელის უფლება კი მტყუანია იმდენად, რამდენათაც კანონის აშკარა დამრღვევ „დიდ კაცებს“ მაგარ მუხრუჭებს არ უჭერს და ამხანაგურათ ექცევა.

ვინ და როგორ დაარღვია კანონი?

წყალშენსა და უმ. სამ. საბჭოს შორის დადებული იყო კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის ერთ ერთი მუხლის ძალით უმ. სამეურნეო საბჭო ვალდებული იყო წყალშენის მოსამსახურეთათვის ჯამაგირი ეძლია ყოველ ორ კვირაში. ოთხი თვის განმავლობაში (წინანდელ ამბებს თავი რომ დავანებოთ) რვაჯერ დაურღვევია ხელშეკრულება.

ავაქოვი (უმ. სამ. საბჭოს თავმჯდომარე) რომ კერძო-პირი ყოფილიყო, პატარა კომუნისტი ან სრულებით არა კომუნისტი, ციხეში ამოყოფდა თავს.

14 თებერვალს შემარიგებელმა კამერამ, შრომის კომისარიატთან არსებულმა, დაადგინა, რომ უმ. სამეურნეო საბჭო ვალდებული იყო ყოველგვარი ანგარიში წყალშენისათვის გაესწორებია 20 თებერვალს...

არც ეს დადგენილებაა დღეს მოყვანილი სისრულეში.

რას აკეთებს ამ დროს შრომის კომისარიატი? —მოქმედებს ვგონებ, მაგრამ რეალურათ არაფერი სჩანს...

მიწერ-მოწერა კომისარიატებს შორის არსებობს, მაგრამ ნაყოფი კი ვერ გამოიღო.

20 თებერვალს ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი სწერს თავის რწმუნებულს საქართველოში;

„ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს ადგილობრივმა კომიტეტმა მოგვმართა განცხადებით და აღნიშნავს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ დარღვევას შემარიგებელ კამერის დადგენილებისას, რომლის თანახმად უმ. სამ. საბჭო ვალად რაცხდა თავის თავს გაესწორებია ვალები წყალშენის (ეხლა ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოსი) განსაზღვრულ დროის განმავლობაში. ვინაიდან უმ. სამ. საბჭოს დღესაც არ შეუსრულებია დადგენილება, რომელსაც ხელი მოაწერა, უხეშათ დაარღვია შრომის კანონი, ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი გთხოვს მიიღოთ გადამწყვეტი ზომები, აიძულეთ უმ. სამეურნეო საბჭო გაუსწოროს მოსამსახურეებს ვალი, თუნდაც უმ. სამ. საბჭოს კუთვნილი ქონების გაყიდვით, შემდეგი გვაცნობეთ“.

გადის დღეები და არაფერი კეთდება.

მე აღვნიშნე, ავაქოვი რომ პატარა კაცი ყოფილიყო, სულ სხვანაირათ მოჰკიდებდენ ხელს; ამას უნდა დაუმატოთ: უმ. სამ. საბჭო რომ კერძო დაწესებულება ყოფილიყო, წყალშენის მოსამსახურეებს იანვრის ჯამაგირი მიღებული ექნებოდათ. თუ ფული არ აქვს უმ. სამ. საბჭოს, როგორ ხდება, რომ ზოგ განყოფილებებს ყოველ ორ კვირაში უსწორებს ანგარიშს? განა ისეთივე მოთხოვნილებები არ აქვთ წყალშენის, და სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის თანამშრომლებს, როგორიც უმ. სამ. საბჭოს კანცელიარიის და ბუხგალტერიის მოსამსახურეებს? უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოსამსახურენი ნამდვილ შვილებათ და გერებათ ყავს დანაწილებული, თუ ავაქოვი თავის ცხვირწინ მყოფ განყოფილებებს გარდა ვერაფერს ხედავს? რას ნიშნავს ყოველივე ეს? მშიერ ხალხს დაწესებულებებს შორის მიწერ-მოწერა ვერაფერს უშველის. ხალხი დაიქირავეს—ისინი ჯამაგირს მოელოდენ, პირნათლად ასრულებდენ მოვალეობას, საჭირონი იყვნენ. რა არის აქ სადავო და სადავიდარაბო? ყველასათვის ნათელია, რომ უსამართლობა ჩაიდინეს, მოსამსახურეები მოატყუეს, კანონი დაარღვიეს და თუ ამისათვის არ დაისჯებიან როგორც „დიდი კაცები“, მოსამსახურეებს დაგვიანებით მაინც მიეცეს კუთვნილი ჯამაგირები.

ამ მოვლენას სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციოს. ვინც მუშა-მოსამსახურეთა ბედს მარტო სიტყვით არ იზიარებს, ხმა უნდა ამოიღოს.

ვისაც სურს საბჭოთა წყობილების პრესტიჟი არ დაეცეს, კანონის დამრღვევლებს პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ხ. ქეიშვილი.

ზოგი რამ

ქართველი ფუტურისტების აღსარება.

ვსწუხვარ, რომ ქართველი ფუტურისტების პირველ გამოსვლას ვერ დავესწარი. მაგიერ ხელთა მაქვს ფურცელი მათი აღსარებისა, რომელიც არა თუ უცნაურია, არამედ აღბეჭდილიც არის უწმინდესი გულუბრყვილობით. სხვაფრივ არც შეიძლებოდა, აღსარება რისი აღსარება იქნება, თუ არ ითქვა უტყუვრად გულის ნადები, თუ იგივე არ წარმოდინდა, რაც კოკაში სდგას.

აღსარებას, როგორც ნაწარმოებს, ახასიათებს დებულება, უარყოფა და წართქმა, მაგრამ არ იფიქროთ, რამე საფუძველი ჰქონდეს ან ერთის, ან მეორის, ან მესამის თქმას, ან რამე მიმართი იპოებოდეს მათ შორის. არა!

უნდა დაინგრეს, რომ აშენდეს, უნდა უარვყოთ წარსული, რომ ვიხილოთ მომავალიო, აღიარებენ ქართველი ფუტურისტები, ე. ი. ხალხი მომავლისა, მისი, რაც უნდა იქმნეს, ან იყვეს, რადგანაც ფუტურიზმის ძირია ისეთი სიტყვა, რომელიც ითარგმნება ქმნად, ყოფად, თესლი რომ აღორძინდეს, ჯერ უნდა გაიხრწნეს, ცოცხალ რომ იქმნეს, ჯერ უნდა მოჰკვდე'ო, ამბობს ძველებური სიბრძნე. მაშასადამე აღორძინებისათვის საჭირო მასალა ისევ ძველი ყოფილა. ძველი ახლად უნდა გადაიქცეს, მოჰხდეს ერთგვარი გადაქცევა, რომელიც ბუნების არსებობის მუდმივი პროცესია, მოჰხდეს რევოლიუცია, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრებაც, მისი წესწყობილებაც განიცდის ზოგჯერ გაჟეჟილად, ზოგჯერ კიდევ გატეხილად. ჩვენს ფუტურისტებს კი დანგრევა-განიავებად მიაჩნიათ, რათგანაც დანგრეულის გარდაქმნას, გარდაქცევას უარ ჰყოფენ, გარდასაქმნელ-გარდასაქცევი მასალა მათთვის არ არსებობს. თუ ასეა მომავალსაც ვერ იხილვენ, რათგანაც წარსულს უარჰყოფენ, ხოლო აწმყო უნდა დაინგრეს, შეიმუსროს, მაშასადამე აწმყოში მოქცეული ქვეყანაც.

აწმყო, ანუ ქვეყანა ეზიზღებათ, რადგანაც წარსულს დაუტოვებია ცრუ მორწმუნეობა, სკოლები, ისტორიული დახელოვნება, მემკვიდრეობითი გამოცდილება და გემოვნება, ენის გაცვეთილი ფორმები, ლოგიკური აზროვნება, გამოხატულებითი კომპოზიცია, მხატვრული განსახიერება, იდეალიზმი, რომანტიზმი, სარწმუნოება, დედამიწისგან განყენებელი მეტაფიზიკა, თვით სინამდვილე და რეალობა.

მაგრამ ამ საზიზღარ გარემოებაში, რომელიც ახლავს აწმყოს, ანუ ქვეყანას, საქებ-სადიდებლად მიუჩნევიათ გაბედული მოსაქმეობა, ინჟინრობა, ტეხნიკა, მთის აფეთქება, გვირაბის გაყვანა და ხიდის, დიდი სასახლის და ქარხნის კეთება, ყველაფერი კი გარეშე აზროვნების, გამოცდილების, გემოვნების და სკოლისა, რათგანაც არც ერთი არა სწამთ, არც გაეგებათ მათი რაობა. მაგალითად ცრუმორწმუნეობას და სარწმუნოება-მეტაფიზიკას ომს უცხადებენ და ებრძვიან, მაგრამ იმავ დროს ომს უცხადებენ და ებრძვიან სინამდვილეს და რეალობას, გონებას და ლოგიკას, რაც უარ ჰყოფს როგორც ერთს, ისევე მეორეს.

სხვისი ჭკვათა ყოფა რომ სძაგდეს კაცს, შესაძლებელია, მაგრამ თავი რომ მოჰქონდეს თავისი უმეცრებით, გაუგებარია. რა კი ფუტურისტებიც მელექსეობენ, ისღა დაჰრჩენიათ, სირეგვნეს ქებათა ქება შეასხან გაუცვეთელი ფორმებიანი ენითა. ნაციონალ ნიღილისტები გვყავანან, ეხლა შეგვმატებიან ინდივიდუალ-ნიღილისტები. ერთიც, მეორეც ნიში არის ჟამისა, ქარის მოტანილი, რომელსაც ქარივე წაიღებს. ხოლო თუ ფუტურიზმი მართლა მოძღვრება არის იმის, რაც მომავალში უნდა იქმნეს, მაშინ მომავლის ცხოვრებას საფუძვლად როგორ უნდა დაედოს სირეგვნე, უარყოფა აზრისა, რასაც სინამდვილე შეიცავს?

ფუტურიზმი არის ერთგვარი მოძღვრება, რომელიც ეხლანდელი ცხოვრების ნორმათა დაშლის დროს სცდილობს, გამოსძებნოს ისეთი საძირკველი, რაზედაც უნდა აიგოს მომავლის ცხოვრება, სულ ერთია ასეთი გარდაქცევის პროცესში მოჰყვება პოეზია, თუ სხვა დარგი სიბრძნისა.

მაგრამ სიბრძნის ქვაც რომ იშოონ, იმ ქვის თვის ბრძენს მაინც ვერ იშოვიან, როგორც იტყვის გოეთე მეფისტოფელის პირითა.

ასეთია ქართველი ფუტურისტების აღსარება.

პეტრე მირიანაშვილი.

საბურთალო უნდა აყვავდეს.

მკითხველ საზოგადოებას ალბად მოეხსენება საბურთალოს უბედურება, რომელიც მას დაატყდა თავს შარშან წინ და შარშან ციებ-ცხელების გამო. ეპიდემია—მალარიამ ორი წლის განმავლობაში მთლად გაანადგურა საბურთალოს ისედაც უღარიბესი ხალხი ფიზიკურად, ეკონომიურად და კულტურულად; წარსულ წელში აყვავებული და გაშენებული უბანი ეხლა ნანგრევებს ღა წარმოადგენს. საბურთალოს ეს სავალალო მდგომარეობა ნაწილობრივად ეხლაც გრძელდება და საჭიროა ამიტომ კვლავ გაგრძელდეს საექიმო-აღმშენებლობითი, მელიორატიული და სანიტარული მუშაობა, რომელიც შარშან დაიწყო. ადგილობრივ ძალთა დახმარებით და ქალ. კომუნალურ განყოფილების ყოფილ გამგის ილ. წივწივაძის, ჯანმრთელობის განყოფილების გამგის გ. ვაწაძის, ამ. ბურჯანაძის, სვ. კანდელაკის და სხვათა მეოხებით გაყვანილ იქმნა თხრილები ჭაობების დასაშრობად, დაარსებულ იქმნა ამბულატორია, გახსნილ იქნა საავადმყოფოსთან უფასო აფთიაქი და სხვა. ეს პატივცემული და მოამაგე პირები რომ არ მოგვშველებოდენ, **საბურთალოს ხსენება არ იქნებოდა, ვინაიდან ამ ორ წელიწადში საზოგადოებამ გამოიღო აუარებელი მსხვერპლი, ნახევარზე მეტი გადასახლდა, მათი სახლები დაიყიდა—დაინგრა და მხოლოდ მესამედი მცხოვრებლებისა ღა დარჩა მომავლის იმედით. საჭიროა ამიტომ ესეთ ღონისძიებათა მიღება, რომელიც ამ დარჩენილ უბედურ ხალხის მდგომარეობას შეუმსუბუქებს, საჭიროა კვლავ მიზანშეწონილ და დროულ მუშაობის დაწყება.**

საბჭოთა ხელისუფლებამ იცის და საკმაო გამოცდილება აქვს ასეთ უბედურების და შემთხვევების დროს დახმარების, შეტევითი და რადიკალური მუშაობის.

გაზაფხულზე აუცილებლივ წამოყოფს თავს ციებ-ცხელება, რადგანაც, როგორც სჩანს ჩვენი ამბულატორიის სტატისტიკიდან უკვე დაიწყო მცხოვრებთა შორის ციებ-ცხელებით სხვა თვეებთან შედარებით მეტი ავადმყოფობა და ეს გარემოება გვავალებს წინასწარ ქინაქინის თადარიგის შოვნაზე და წამლებზე. გაზაფხულზე კოღოები კვლავ წამოყოფენ თავს ჭაობებში,—ეს კი გვავალებს განსაკუთრებუ-

ლი ყურადღება მივაქციოთ თხრილებს მის გასასუფთავებლად და ამოსაწმენდათ. საზოგადოებამ თავისი სიტყვა სთქვა ამის შესახებ: სთხოვა ქალაქის სააღმშენებლო განყოფილებას დაჯარიმებულ იქმნენ ერთდროული გადასახადით ის მეცხვარეები და საქონელის პატრონნი, რომელთაც დაუდიოდათ ჭაობებში ცხვარი და აფუჭებდნენ თხრილებს. ეს გადაწყვეტილება უნდა სასწრაფოდ და დროულად შესრულდეს; აპრილში უნდა გაიწმინდოს თხრილები, რომ გაზაფხულზე მომზადებული დავხვდეთ ავადმყოფობას და კოღოებს არ მიეცეთ საშუალება ჭაობებში ყოფნის. ადგილობრივი მოსახლე თათრობა ამ გადასახადის მხრივ მეტად უნდა დაიბეგროს, ვიდრე სხვა უბნებში, მათ გააფუჭეს თხრილები და მათ უნდა გადიხადონ ეს გადასახადი.

არის სხვა საშუალება თხრილებისათვის ფულის შოვნის,—ეს არის ის მაკლერები და დამგრეველთა ჯგუფი, რომელნიც საბურთალოს უბედურებით სარგებლობენ, სტაცებენ ჩალის ფასად სახლებს, ანგრევენ მათ და დანგრეული მასალით აურებელ ფულს იჯიბავენ. ამ გარემოებას აგრეთვე სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს და მუშათა უბნებში ეს მეორე ხალხის ეკონომიურ განადგურების ავადმყოფობა მოისპოს. ეს იწვევს მუშათა უბნებში პანიკას და ღარიბ კვარტალების განადგურებას, სახლები რომ არ დაინგრეს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა უბნებს ეკონომიურად და გადასახადებიდან, როგორიცაა საბურთალო განთავისუფლდეს უღარიბესი ხალხი, რომ შეუმსუბუქოთ მდგომარეობა.

თხრილებზე უნდა გაკეთდეს აგურის რამდენიმე ხიდები საქონლის და ურმების გასავლელად. ეს ჩვენ უნდა შევძლოთ საკუთრივ.

კულტურის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილები ვართ, მაგრამ რა კულტურულ მუშაობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი მაშინ, როდესაც მთელი უბანი დაავადმყოფებული ფიზიკურად იშლებოდა და კლუბზე ან სამკითხველოზე ზრუნვა შეუძლებელი ხდებოდა ასეთ დროს.

საბურთალოს ბევრი რამ ესაჭიროება—ბორანი, აბანო, წყალსადენი, ტრამვაი და სხვა... და ჩვენ ამ მხრივ უკვე ვმუშაობთ და არჩეულია საგანგებო კომისია ამხ. გ. ვაწაძის თავმჯდომარეობით.

საბურთალოზე კვლავ გაიხსნა მე-13 კომისარიატი; კომისრად დანიშნულია ამხ. ბერიშვილი და ეს კომისარი, იმედია, საბურთალოს კეთილდღეობის და ღარიბ ხალხის მუშაობაში, უბნის ადმინისტრატიულ ერთეულის გარდაქმნის გამო ბევრს რამეს გააკეთებს. ერთი ნაბიჯი უკვე სასურველად იქმნა გადადგმული—უბნის სისუფთავის და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობაში. მეორე ნაბიჯი—ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ.

საჭიროა მარშანდელივით ფართო ხასიათის კრების მოწვევა და გამომუშავება სამუშაო პროგრამის ქ. აღმასკომის პრეზიდიუმის წევრთა მონაწილეობით.

წრევანდელი წელიწადი უნდა იყოს აღმშენებლობითი—უბნის გაჯანსაღების, ფიზიკურად გადარჩენის, კულტურულ მუშაობის, ეკონომიურ დახმარების და საერთოთ საბურთალოს გადახალისების უკეთესს მომავლისათვის.

ეს არის ჩვენი მორიგი ამოცანა და გვჯერა, რომ საბურთალო რამდენიმე წელიწადში კვლავ აყვავდება!

ვიმუშაოთ ენერგიულათ და სოლიდარულათ.

გ. მაღრაძე.

მეცნიერება და ტექნიკა

ფიზიკის თანამედროვე საკითხი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ეინშტეინმა გამოსთქვა მიმართების პრინციპი: მისი პარადოქსალური დასკვნები ყველასათვის ცნობილია: ის უარყოფს თანდაყოლილ წარმოდგენას დროსა და სივრცეზე, როგორც უცვლელსა და აბსოლუტურზე. სხეულების ოდნობა და მასსა იცვლება ადგილის შეცვლასთან და მექანიკის მარტივი კანონები დამოკიდებულებაში არიან შედარებითი მოძრაობის სიჩქარესთან. მიმართების პრინციპის შემდეგ განვითარებას მივყევართ ახალ შეხედულებებზე მსოფლიო სივრცის დაუსრულებლობის შესახებ, მსოფლიო მიმზიდველობის გამოცნობაზე და სხ.

რადიის აღმოჩენა, რომელიც გასული საუკუნის დასასრულს მოხდა და აღმოჩნა ენერგიის დიდძალ მარაგისა, რომელსაც ის გამოყოფს, თითქოს ეწინააღმდეგებოდა ენერგიის მუქთად მიღების შეუძლებლობის პრინციპს. შემდეგ ამ აღმოჩენამ მიგვიყვანა დიდიხნიდან გაბატონებული ელემენტების მუდმივობისა და ატომის დაუშლელობის კანონის გაუქმებამდი, რომლის მაგივრათაც წამოყენებულ იქნა ელემენტების გადაქცევის, მათი ერთმანეთში გადასვლის და ატომის დანაწილების კანონი. ის ენერგია, რომელიც გამოიყოფა ატომიდან, მის შიგნეულობაში არის დაფარული; ის გაცილებით მეტია იმ ენერგიაზე, რომელიც გამოიყოფა ატომების ქიმიურ ურთიერთმოქმედების დროს, მაგ. ის მილიონჯერ მეტია, ვიდრე ის სითფო, რომელიც ხის წვისაგან გამოიყოფა. ჩვენ რომ შეგვეძლებოდა ამ შინაგან ატომურ ენერგიის გამოყენება, მაშინ ჩვენ მოვიპოებდით სითფოს დაულეველი მარაგის წყაროს, რომელიც მოქმედებაში მოიყვანდა ყველა ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებს, აამოძრავებდა გემებს და მატარებლებს, გაანათებდა და გაათბობდა ჩვენს შენობებს. რადიის ერთი გრამი რომ მარტივ ელემენტებათ დავშალოთ, იმდენივე სითფო გამოიყოფა, რამდენსაც მოგვცემს დაახლოვებით ოცდაათი ფუთი ნახშირის წვა. ახლა კი თეორეტიული გამოანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ მატერიის დაშლის საშვალებით, ყოველი ნივთიერების თითოეული გრამიდან, მაგ., ყოველ 18 წვეთ წყლიდან შეიძლება მივიღოთ 20 ათას მილიონზე მეტი სითფოს ერთეული (კალორია), ე. ი. იმოდენი ენერგია, რამდენსაც იძლევა 3000 ტონის ანუ დაახლოვებით 180 ვაგონი ნახშირის წვა. ერთი წვეთი წყალი თანაბარი იქნება 10 ვაგონ ქვა-ნახშირისა.

რადიო აქტიური ნივთიერების გამოკვლევის მეთოდიკით რეზეფორდმა მოახდინა მსუბუქ ელემენტების ატომთა ხელოვნური დაშლა, ამ გზით მან შესძლო ბარის, აზოტის, ფტარის, პატრის, ალიუმინის და ფოსფორის ატომებისაგან მიეღო ნაწილაკები, რომლებიც ყოველი მხრით გვანან წყალბადის ატომებს. ასტონმა დაამტკიცა, რომ მრავალი ჩვენგან ცნობილი ელემენტები, რომლებსაც ჩვენ წინათ „წმიდათ“ ვსთვლიდით, წარმოადგენენ სინამდვილეში ერთგვარ ელემენტების ქიმიურ შერევას, რომლებთაც სხვა და სხვა ატომიური წონა აქვთ; ასეთი ძირითადი ელემენტები ატარებენ იზოტოპების სახელწოდებას. აღმოჩნდა, რომ „წმიდა“ ელემენტების ატომებს ყოველთვის აქვთ წონა, რომელიც მთელი სიუხვით გამოიხატება წყალბადის ატომის წონასთან მიმართებით. ამას იმ აზრამდე მივყევართ, რომ ყველა ელემენტების ატომები შედგებიან წყალბადის ატომებისაგან.

მატერიის განუყოფელ ნაწილების არსებობის იდეა ძველი დროიდან მიმდინარეობს. ის აზრი კი, რომ ენერგიასაც ატომიური აგებულება აქვს ოცი წლის წინათ აღმოჩნდა და დღემდე გადაუწყვეტელ ამოცანას წარმოადგენს. პანკმა დაასკვნა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება მატემატიკურათ კანონის გამოყვანა სითბოს შესწავლიდან, თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ სხეულის ცალკე ნაწილები თავიანთ ენერგიას შეისწავლიან განსაზღვრული პროპორციებით ე. ი. რომ ენერგია შეისწავლება თავისებურ ენერგიის ატომებით, ანუ „კვანტებით“, როგორც მას უწოდებენ.

ენერგიის კვანტები ეწინააღმდეგებიან ძველ კლასიკურ მექანიკას და ელექტროდინამიკას, რომლებიც დასაშვებათ სთვლიან ენერგიის ყოველგვარ წილს. ამ ჟამათ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ იმდენად იშვიათი მატერიის ჩქერები, რომ მათი განხილვა შეიძლება, როგორც ცალკე თავისუფალი ატომების. ატომების ასეთი ჩქერი რომ მაგნიტის პოლიუსის ახლოს გავატაროთ, ვერცხლის ატომებს ან მხოლოდ მიიზიდავს, მაგნიტი და ანდა მხოლოდ გატყორცნოს,—იმის მიხედვით თუ, როგორ არიან ისინი დაწყობილნი. შუა მდგომარეობა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ატომის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. ეს არის ერთი ღირსშესანიშნავი ცდის სრული დადასტურება—კვანტების თეორიისა.

ამ ჟამათ მრავალ მაგნიტურ მოვლენებს იხილავენ კვანტებეს თვალთსაზრისით. ვეისის მიერ ნაჩვენები იყო, რომ ატომის მაგნიტურ თვისებათა საზომათ გამოსადეგია უნივერსალური ერთეული, წოდებული მაგნეტონათ.

პროსტიტუციის მიზეზები

როგორც ირკვევა პროსტიტუცია ტფილისში მწვავე ხასიათს ღებულობს. ეს რომ ასეა იქიდანაც სჩანს, რომ მან მიიპყრო ადმინისტრაციის ყურადღება და მასთან ბრძოლის საქმე მორიგ საკითხად წამოაყენა.

ყოველივე მოვლენას აქვს თავისი წარმომშობი მიზეზები, რა თქმა უნდა—პროსტიტუციასაც. თუ გვინდა ჩვენ მოვსპოთ ესა თუ ის მოვლენა, უნდა მოვსპოთ მისი წარმომშობი მიზეზები და მოვლენაც თავის თავად მოისპობა. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ვიცოდეთ, რა არის მიზეზები ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობისა, მისი განვითარების, რათა შესაძლებელი გახდეს ბრძოლის წარმოება მის წინააღმდეგ, მის მოსასპობათ.

ამ წერილით მინდა მოკლედ გავაცნო მკითხველი იმ მთავარ შეხედულებას, რომელიც არსებობს მეცნიერებაში პროსტიტუციის წარმოშობაზე.

პროსტიტუციის ქვეშ, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ვგულისხმობთ ვაჭრობას საკუთარი ტანით. პროსტიტუცია არსებობს უხსოვარ დროიდან. ის ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. ჩვენ გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ ის ყოველთვის არსებობდა. რაც შეეხება ისტორიულს, თუნდაც ლეგენდარულ ხანას, მისი არსებობა ამ დროში ეჭვს გარეშეა.

რისთვის წარმოიშვა პროსტიტუცია და რით ინარჩუნებს ის დღემდე თავის არსებობას?

ლეტურნოს აზრით, ადამიანს აქვს მიდრეკილება მრავალცოლიანობისაკენ, მსგავსად ზოგიერთ ცხოველებისა. ადამიანის მაგვარი მაიმუნები თითქმის ყველა პოლიგამები არიან. ჩვენი წინაპარნი პოლიგამები ყოფილან და თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რატომ თანამედროვე ადამიანების დიდი უმრავლესობას ეტყობა მიდრეკილება პოლიგამიისაკენ. როგორც ვთქვით, პროსტიტუცია შორეულ წარსულში პოულობს თავის დასაწყისს. ის გვხვდება გაცილებით ადრე ვინემ რომელიმე ფორმა ცოლ-ქმრული კავშირისა და დღემდის განაგრძობს არსებობას, როგორც კულტურულ ისე ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამრიგათ, ადამიანთა მისწრაფება ქორწინების გარეშე სქესობრივი ინსტინქტის დაკმაყოფილებისაკენ სხვა არ არის რა, გარდა ატავიზმისა. ასეთი შეხედულებისა არის ლეტურნო ამ საკითხზე.

მეორე პირობა პროსტიტუციის წარმოშობისა არის საზოგადოების დაქვეითება ზნეობრივად და გონებრივად. ის პირდაპირი შედეგია საზოგადოების დაბალი ფენების მატერიალურად დაცემისა. მეძავ ქალთა დიდი უმეტესობა საზოგადოების ღარიბთა კლასს ეკუთვნის. გაბატონებულ კლასთა ქალები კი მიმართავენ ამ სამარცხვინო პროფესიას ცხოვრების აუტანელ პირობების ზეგავლენით. ეს მართალია ნაწილობრივ. გარდა ამ უკანასკნელისა აქ სხვა მიზეზებსაც უჭირავს საგულისხმო ადგილი. რომ მართლა ქალებს პროსტიტუციის გზაზე ერეკებოდეს ერთად ერთი სიღარიბე ან სიმშილი, მაშინ რამ შეუშალა ხელი დადგომოდენ ამ გზას ყველა ის ქალები, რომლებიც განიცდიან უკიდურეს მოთხოვნილებას არსებობისათვის საჭირო საგნებში? მრავალია ისეთი ქალები, რომლებიც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან, სიღარიბეში იღრჩობიან, სიმშილით ილუპებიან, მაგრამ „პროსტიტუტკათ“ არ ხდებიან და პირველ შეხვედრილ მამაკაცს არ მიჰყიდიან თავის სხეულს. არ არის სწორი, ვითომც ბოროტების არსებით მხარეს მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების სიდუხჭირე შეადგენდეს, როგორც ყოველი ადამიანი არ დაიწყებს ქურდობას ან ლოთობას ობიექტიური პირობების, სოციალური წრის ზეგავლენით, ისე ყოველი ქალი არ დაიწყებს ვაჭრობას საკუთარი ტანით ამავე მიზეზით.

მაშასადამე, არიან ქალები, რომელთათვისაც მიდრეკილება პროსტიტუციისაკენ შეადგენს მოთხოვნილებას.

დავასახელებ კიდევ ერთ პირობას, რომელსაც სარჩულათ უდებენ პროსტიტუციის წარმოშობას. ის პირები, რომლებმაც სპეციალურად შეისწავლეს ეს საკითხი ერთხმად ამტკიცებენ, რომ თუ ყველაში არა, მეძავ ქალთა დიდ უმრავლესობაში მაინც, ჩვენ ვპოულობთ გადაგვარების ნიშნებს, დაავათმყოფებულ მემკვიდრეებს. აქ მხედველობაში აქვთ უმთავრესად გადაგვარების ფიზიკური ნაკლულოვანებანი, როგორიცაა თავის ქალის, ჩონჩხის, კბილების, ყურების უსწორო აგებულება და სხვა.

პროსტიტუცია გამოძახილს პოულობს ისეთ ადამიანებში, რომლებსაც არ აქვთ საშვალება ქორწინებისა სხვა და სხვა მიზეზების გამო, ან და რომლებისთვისაც ცოლ-ქმური კავშირი სქესობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არ არის საკმარისი, ან და სასურველი.

ყოველივე ეს უმზადებს ნიადაგს პროსტიტუციას და აძლევს მას მასსიურ ხასიათს. თუ რა მეთოდით ვაწარმოოთ მის წინააღმდეგ ბრძოლა, ამაზე შემდეგ.

მ. ნ—ძე.

ხელოვნება

სახალხო სახლის სეზონი 1922—23 წ.

სახალხო სახლის დრამატიული დასი შესდგება 26 მსახიობისაგან, ამ რიცხვში ქალებია შვიდი დანარჩენი კი ვაჟები. სეზონის გახსნისათანავე მთავარ რეჟისორათ მოწვეული იყო შალვა დადიანი. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო სახლის რეპერტუარი იყო ერთფეროვანი, ტენდენციური და უკვე კარგავდა ინტერესს. შალვა დადიანმა გაამრავალფეროვანა ეს რეპერტუარი და რამოდენიმე ახალი პიესაც შეიტანა, როგორც ორიგინალური, აგრეთვე თარგმნილიც. ახალი პიესები დაიდგა შემდეგი: „სიყვარულის საზღვართან“ დრამა სამ მოქმ. ტრიფონ რამიშვილის. „კაცის სამართალი“ დრამა 4 მოქ. ნინო ნაკაშიძისა, „გეგეჭკორი“ ისტორიული დრამა 3 მოქ. შალვა დადიანისა. „დამზრალი წალკოტი“ ფსიხოლოგიური დრამა 4 მოქ. კ. გერგესლისა და სხ. ნათარგმნი პიესებიდან დაიდგა „ომი“ არციბაშევისა „სულელი“ ფულდისა და სხ.

სხვათაშორის დასში მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზრდა სტუდიელები, სტუდენტები და სხ. ახალგაზრდა მსახიობებში ყურადღება მიიქციეს ნინო მინდელმა, ადამიძემ, ხორავამ, სიბილამ, ყარანგოზოვმა, გოძიაშვილმა, კუპრაძემ და სხ. დამსახურებულებში კი სოსო რომანიშვილმა, თამარ გოგოლაშვილმა, ნიკო გოცირიძემ, თაზიშვილმა, ალ. მეტრეველმა და სხ.

კვირაში სისტემატიურად ორჯელ მიდიოდა წარმოდგენები: პარასკეობით და კვირაობით. თეატრი ყოველთვის სავსე იყო ხალხით, განსაკუთრებით მუშებით და მშრომელ ინტელიგენტებით.

თვით დასს არა ნორმალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა. უპირველესია ჯამაგირის სიმცირე. სახალხო სახლის მსახიობნი არასოდეს არ იყვნენ ნივთიერად უზრუნველყოფილნი იმდენათ მაინც, რომ განსაკუთრებით დრო ჰქონოდათ სასცენო მუშაობისათვის. წრეულსაც მსახიობნი იძულებულნი იყვნენ კერძოთ ემსახურათ და საღამოობით დაღალულ-დაქანცულნი მოდიოდნენ რეპეტიციებზე. თანაც თვით რეპეტიციები მიდიოდა არა ნორმალურად, სცენა ყოველთვის დაკავებული იყო და მსახიობნი იძულებულნი იყვნენ დერეფანებში გაემართათ რეპეტიციები.

გარდა ამისა, რეპერტუარის განახლებას მოსდევდა აურებელი ტეხნიკური ხარჯები და სახალხო სახლის „სახალხო ფასები“ კი სანახევროდაც არ ფარავდა ხარჯებს. მართალია მთავრობა ეხმარებოდა, მაგრამ ეს დახმარება იყო შემთხვევითი და არა სისტემატიური, რომელიც ასე ესაჭიროება სახალხო სახლის უანგარო მუშაკთ.

სახალხო სახლს დიდი ღვაწლი მიუძღვის წარსულში. იგი იყო ერთად-ერთი თეატრი, სადაც ქართველი მშრომელი დასვენების ჟამს პოულობდა ესტეტიურ განცდას. სახალხო სცენის მუშაკნი შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მისიას. მართალია დღეს პოლიტიკური გარემოება შეიცვალა და ქართველ მშრომელს გაეღო კარები დიდ თეატრებშიაც, მაგრამ სახალხო სახლის არსებობა კვლავ საჭიროა, როგორც მუშების ნამდვილი თეატრისა, თავის მუშურ რეპერტუარით.

ამის გამო საჭიროა მთავრობის მეტი ყურადღება და სისტემატიურ დახმარების გაღება. ამ ზომით ჩვენ ჩავაყენებთ სახალხო სახლის მუშაკთ ნორმალურ პირობებში და წარმოდგენებს მიეცემა მეტი მხატვრული ხასიათი, რომელიც თქმა არ უნდა აკლდა როგორც წარსულ წლებში, ისე წრეულსაც.

რაც შეეხება რუსულ აკადემიურ დასს, რომელიც მოღვაწეობდა იგივე სახალხო სახლში, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მხატვრული მხარე მათ წარმოდგენების მეტად ჰქონდათ დაცული, ვიდრე ქართულს. ეს ადვილი ასახსნელიცაა. რუსულ დასში მეტი წილი პროფესიონალი მსახიობებია და რეპერტუარიც უფრო მდიდარი და ფართო, თანაც მათ მოემატათ იმნაირი ძალები, როგორც მსახიობი გლაგოლინი, ვალერსკაია, ლეინი და სხ. დასს რეჟისორობდა ტუგანოვი, გლაგოლინის გასტროლებმა დიდ ძალი საზოგადოება მიიზიდეს თეატრში.

ქართლელ-იმერელი.

* * *

ტფილისის მეორე კონსერვატორიაში

„Lewendgaus“ როგორც მე ვუწოდებ მეორე სახელმწიფო კონსერვატორიას, ბრწყინვალეთ ამთავრებს საკამერო საღამოთა სეზონს, „გრუმმანის“ სახელობის მუდმივი საკონსერვატორიო კვარტეტით.

დღეს მე ფიქრადაც არა მაქვს რაიმე ხოტბა—ან ეპიტეტები უძღვნა კონცერტის მონაწილეთ მხოლოდ ერთს კი თამამათ ვიტყვი, რომ როგორც შემადგენლობას, ისე ამ შესრულებასაც შეეძლო ყოველი დიდი საკონცერტო ესტრადა დაემშვენებინა—სრულებით ღირსეულათ. აქ ყველაფერი—ევროპის მასშტაბით არის ხაზ მოსმული. სერიოზული და სიყვარულით გაღვივებული დამოკიდებულება საქმისადმი, მერვე საკამერო ყრილობის პროგრამისა—შემდგარი იყო **იოგან ბრამსის** შემოქმედების აღსანიშნავად. ყველაზე ცნობილი და პოპულიარული კომპოზიტორი, ეს დიდი ხელოვანი ბრამსი, გენიალური მუსიკოსის ბეთხოვენის პირდაპირი მიმდევარია, თუმცა მას, გერმანიის საზღვრებს იქით ძლიერ ცოტას იცნობენ, ხოლო საფრანგეთში ბრამსის ნაწარმოებს სრულიად არსად არ ასრულებენ.

ბრამსის მუსიკა ზეშთაგონებით აღმაღლებული და სერიოზობით მიმზიდველია და რაც უფრო ახლოს ეცნობით მის შემოქმედებას, მით უფრო და უფრო მეტი ინტერესი გიპყრობს მისდამი.

მეორე კონსერვატორიის კონცერტზე შესრულებული იქნა კვარტეტი № 2 და სახელგანთქმული კვინტეტი, სიმებიან ინსტრუმენტსა და ფორტეპიანოსათვის. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა ბ. ზეილინგერმა, ჩვეულებრივის მუსიკალობით, აჟურულ ტეხნიკის კრისტალური სიწმიდით, დამთავრებულის ფრაზიორობით და რიტმით. ეს ნიჭიერი პიანისტი, დიდი ხნის სტუმრათ, არ არის ჩვენთან. ამ დღეებში შესდგება მისი გამოსათხოვარი. clavierabend ვუსურვებ რა, ბ. ზეილინგერს, შერავანდედით მოცულ ფართო გზას. არ შემიძლია ამასთანავე არ გამოვსთქვა ჩემი მწუხარება მისი ტფილისიდან ასე ადრე გამგზავრების გამო. გამოგვაკლდება ერთი დიდი ადგილი მუსიკის მწკრივიდან, რომელიც ადვილად არ შეივსება.

კონცერტზე შესრულებული იქნა, პირველათ ტფილისში, ორმაგი კონცერტი ვიოლონჩელისა და ვიოლინოსათვის. ორთავე შემსრულებელნი ბ. ცოვიანოვი და ილჩენკი, თავიანთი მუსიკალური დანიშნულების სიმაღლეზე აღწევდენ.

დიახ, მეორე კონსერვატორიის კონცერტი, საინტერესო გვერდია, ტფილისის მუსიკალურ ცხოვრებაში.

პ. ბებუთოვი.

* * *

მორიგი პრემიერა. რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამზადებს მორიგ პრემიერას „ნატვრის თვალი“ ოპერეტა 3 მოქ. თარგმანი არტემ ახნაზაროვისა.

* * *

ელო ანდრონიკაშვილი. ქართულ დრამის მსახიობ—ქალს ელო ანდრონიკაშვილს წრეულს უსრულდება სრული 15 წ. რაც ქართულ სცენაზე მოღვაწეობს. მსახიობ ქალს განზრახული აქვს მოაწყოს წარმოდგენა რუსთველის თეატრში ფართო პროგრამით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 168. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2